ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 14 დეკემბერი 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი მისი დირექტორის გელა დუნდუას სახით, შემდეგში ,,შემსყიდველი" და შპს"ამინ"-ი მისი დირექტორის კობა კვირკვაიას სახით, შემდეგში ,,მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

,,შემსყიდველი" ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი 2016 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი'' მიაწოდებს განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (შემდგომში ,,სამუშაო").) და მათთან დაკავშირებული მომსახურებები. (შემდეგში ,,მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – მალთაყვის უბნის სასაფლაოზე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (შემდგომში ,,სამუშაო").)

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – **კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 45300000** <u>- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები</u>

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 45316100 <u>გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟი</u>

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3000 (სამიათასი) ლარს**, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 10(ათი) დღის განმავლობაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას

შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის	შპს"ამინ"
დირექტორი:	დირექტორი:
გ.დუნდუა	კ.კვირკვაია
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	სს , ,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
სახელმწიფო ხაზინა	ა/ა GE53YT0600000123453605 ბ/კ UGEBGE22
კოდი 742857499	ს/კ № 415092982
ს/კ 415092919	